

ტექნიკური დავალება

შესყიდვის მიზანია ვიდეო-სათვალთვალო კამერების კომპლექტების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

შესყიდვის ობიექტია სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ორი ტიპის ვიდეო-სათვალთვალო კამერის მოვლა-პატრონობის მომსახურება, რაც გულისხმობს ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი ვიდეო-სათვალთვალო კამერის კომპლექტისა და ზოგადი ხედვის ვიდეო-სათვალთვალო კამერის კომპლექტის ტექნიკურ მომსახურებას (მოვლა-პატრონობა).

ზოგადი ხედვის ვიდეო-სათვალთვალო კამერის კომპლექტი მოიცავს: ზოგადი ხედვის კამერას ყველა შესაბამისი აქსესუართან ერთად, რომელიც უზრუნველყოფს ჰაუსინგის დამაგრებას (სამაგრი ფეხი) და კვების ბლოკს ყველა შესაბამისი აქსესუართან ერთად (კონექტორი, კაბელი და სხვა ფუნქციონირებისათვის/ექსპლუატაციისთვის აუცილებელი კომპონენტი).

ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი ვიდეო-სათვალთვალო კამერის კომპლექტი მოიცავს: ვიდეო-სათვალთვალო კამერას (Avigilon), გარე გამოყენების კორპუსს (AETEK) წყლის მიწოდების სისტემითა და ინფრაწითელი განათებით, ყველა შესაბამისი აქსესუართან და სახარჯ მასალასთან ერთად, ასევე კვების ბლოკს ყველა შესაბამისი აქსესუართან ერთად (კონექტორი, კაბელი და სხვა ფუნქციონირებისათვის/ექსპლუატაციისთვის აუცილებელი კომპონენტი).

მიმწოდებელი ვალდებულია მოვლა-პატრონობის პროცესში უზრუნველყოს მომსახურება, რომელიც გულისხმობს საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ორივე ტიპის ვიდეო-სათვალთვალო კამერების შეფერხების/ხარვეზის შემთხვევაში პრობლემის გამოსწორების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას ულიმიტო გამოძახებით, რათა ვიდეო-სათვალთვალო კამერა, როგორც ერთიანი კომპლექტი მუშაობდეს გამართულად.

პროექტის ფარგლებში, თითოეული მუნიციპალიტეტი ვალდებულია გამოყოს საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა), რომელიც წინასწარ ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრულ მისამართზე ჩაიბარებს, მიმწოდებლის მიერ მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაზიანებულს და შემდგომში მოხსნილ ვიდეო კამერებს.

მუხლი 1. მომსახურების აღწერილობა

1. მომსახურების ფარგლებში, მიმწოდებელი ვალდებულია დაადგინოს ვიდეო-სათვალთვალო კამერების ან მასში შემავალი კომპონენტების შეფერხების/ხარვეზის მიზეზი და მის აღმოსაფხვრელად განახორციელოს შესაბამისი ქმედებები, მათ შორის:
 - 1.1. კამერის გამართულად ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ელექტრო კომპონენტების, სადენებისა და შეერთებების შემოწმება;
 - 1.2. კამერების განლაგებისა და ხედვის მიმართულების (კუთხისა და რაკურსის) შემოწმება და შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში კორექტირება;
 - 1.3. კამერის პროგრამული კონფიგურაციის განულება (პროგრამული და აპარატურული რესეტი) და მიკროკოდების განახლება;
 - 1.4. კამერის გარე გამოყენების კორპუსის შემოწმება;

- 1.5. ინფრაწითელი განათების შემოწმება, შესაძლებლობის შემთხვევაში ადგილზე გამართვა, თუ ეს არ არის დაკავშირებული კომპანიის მიერ გასაწევ დამატებით ხარჯებთან;
- 1.6. საწმენდი სითხის შესხურებისა და გაწმენდის მექანიზმის შემოწმება, შესაძლებლობის შემთხვევაში ადგილზე გამართვა, თუ ეს არ არის დაკავშირებული კომპანიის მიერ გასაწევ დამატებით ხარჯებთან;
- 1.7. ავზის შევსება სპეციალური სითხით და სხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც საჭიროა ვიდეო-სამეთვალყურეო კამერის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის, რათა კამერა ლოკალურად იძლეოდეს შესაბამისი ხარისხის ვიდეო-სიგნალსა და ანალიტიკურმა პროგრამამ უზრუნველყოს გავლილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების სანომრე ნიშნის ამოცნობა არანაკლებ 90%-იანი სიზუსტით. სპეციალური სითხე უნდა იყოს ყინვაგამძლე, განსაზღვრული უნდა იყოს არანაკლებ (-40°C) ყინვაზე. სითხე უნდა იყოს ფერადი შეფერილობის, რათა ადვილად განისაზღვროს ავზში სითხის მოცულობის დონე;
- 1.8. ხარვეზის არარსებობის მიუხედავად, განსაკუთრებული შემთხვევების არსებობისას, უზრუნველყოს ვიდეო სამეთვალყურეო კამერების დემონტაჟი/მონტაჟი;
- 1.9. მიმწოდებელი ვალდებულია კამერის კომპლექტის დემონტაჟამდე გადაიღოს ფოტო სურათ(ებ)ი, სადაც ასახული იქნება გარე გამოყენების კორპუსისა და მასში მოთავსებული კამერის სერიული ნომრები და ფოტო მასალა ატვირთოს „ინციდენტების მენეჯმენტის“ პროგრამულ უზრუნველყოფაში;
- 1.10. მიმწოდებელი ვალდებულია კომპლექტის დემონტაჟი განახორციელოს სრულად და გადასცეს ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები შემსყიდველი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს მათ მიერ მითითებულ მისამართზე.

მუხლი 2. მიმწოდებელთან დაკავშირების სქემა და ინციდენტების მართვა

1. მიმწოდებელსა და ინსპექტირების განმახორციელებელ ჯგუფს („საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112“) შორის, შესაბამისი კომუნიკაციის დამყარება და ინციდენტების (შეფერხებებისა და ხარვეზების) მართვა ხორციელდება სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის - „ინციდენტების მენეჯმენტის“ სისტემის მეშვეობით.
2. ვიდეო-სათვალთვალო სისტემების შეფერხების ან/და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, ინსპექტირების განმახორციელებელი მხარე პრობლემის შესახებ ინფორმაციას ატყობინებს მიმწოდებელს ინციდენტების მენეჯმენტის სისტემის მეშვეობით (ხსნის ინცინდენტს) და წარმოქმნილი პრობლემის პირველად აღწერას ახორციელებს სისტემაში წინასწარ ჩაშენებული ველების შინაარსის შესაბამისად.
3. მიმწოდებელი ვალდებულია ხარვეზზე რეაგირების მიზნით მიავლინოს ტექნიკური ჯგუფი, რომელიც ადგილზე ახდენს ხარვეზის დიაგნოსტიკას, ინციდენტის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 48 საათის

განმავლობაში. მიმწოდებელი ვალდებულია, ხარვეზის შესახებ ინფორმაცია მიიღოს და მასზე რეაგირება მოახდინოს დღე-ღამის ნებისმიერ დროს, მათ შორის ოფიციალურ უქმე დღეებშიც.

4. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზების გამო (ყინვა, ქარი, თოვლი, მეწყერი, წვიმა და ა.შ.) კამერასთან ფიზიკურად შეუძლებელია ტექნიკური ჯგუფის მივლინება, ინსპექტირების განმახორციელებელ მხარესთან, ინციდენტების მენეჯმენტის სისტემის საშუალებით შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია რეაგირების გონივრული ვადით გადაწევა.
5. ხარვეზზე რეაგირების დროს, ტექნიკური ჯგუფი აღჭურვილი უნდა იყოს ყველა საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით, მათ შორის: არანაკლებ 1 (ერთი) ამწე-კალათით, ვიდეო ტესტერით, ელ. მანქანასთან საჭირო სამუშაო იარაღებით.
6. გახსნილი ინციდენტის პასუხად, მივლინებული ტექნიკური ჯგუფის სპეციალისტი ინციდენტების მენეჯმენტის სისტემის შესაბამის ველებში, ტექსტურ ფორმატში ახდენს ხარვეზის აღწერას და პრობლემის ამსახველი ფოტოსურათის ან/და ვიდეო ფაილის ატვირთვას.
7. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ტექნიკის მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის ამწე-კალათის ან/და სხვა სატრანსპორტო საშუალების მობილიზება.
8. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით განახორციელოს თითოეული ტიპის ვიდეოსათვალთვალო კამერის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო სახარჯი მასალების (ელ-სადენი, ქსელის კაბელი, კაბელის სამაგრები და ა.შ.) შეძენა/შეცვლა/შეკეთება ანალოგიური ან/და არანაკლებ იმავე ტექნიკური მახასიათებლების მქონე საქონლით.
9. დაზიანებული ვიდეოსათვალთვალო კამერის ან კამერების მესამე პირის მიერ შეკეთების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ზემოაღნიშნული კამერა (სრული კომპლექტით) დაამონტაჟოს/გამართოს მის პირვანდელ ადგილას ან შემსყიდველის მიერ საქართველოს მასშტაბით მითითებულ ლოკაციაზე.
10. ავტოსაგზაო შემთხვევის, სტიქიური ან სხვა გარე ფაქტორების ზემოქმედებით ვიდეო-სათვალთვალო კამერების კომპლექტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის (მათ შორის კაბელის) დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მივიდეს და მოხსნას კამერა/კაბელი და წარმოადგინოს შემსყიდველთან შეთანხმებულ მისამართზე.
11. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი კომპანიის წარმომადგენლისთვის ადგილზე მივლინებისას ცნობილი გახდა, რომ კამერა ან მისი გარე გამოყენების კორპუსის რომელიმე მაკომპლექტებული დაზიანდა გარე ზემოქმედებით (მაგ. ავტოსაგზაო შემთხვევა, ვანდალური დაზიანება ან და სხვა შემთხვევა), მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს ინსპექტირების განმახორციელებელ მხარეს, ასევე იმ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს, ვის ბალანსზეც ირიცხება ვიდეო-სათვალთვალო კამერა და გამოიძახოს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები.
12. მიმწოდებელმა ვიდეო-სათვალთვალო კამერებზე ან მათი კომპლექტების შემადგენელ ნებისმიერ ნაწილზე მის მიერ ჩატარებული ნებისმიერი მანიპულაციის შესახებ (დემონტაჟი, ინსტალაცია, ხედვის კუთხის გასწორება და სხვა.) ინფორმაცია უნდა ასახოს „ინციდენტების მენეჯმენტის“ პროგრამულ უზრუნველყოფაში.

13. ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ, გახსნილი ინციდენტის პასუხად, მიმწოდებლის სპეციალისტი პრობლემის აღმოფხვრის შესახებ ინფორმაციას აწვდის ინსპექტირების განმახორციელებელ მხარეს, რომელიც თავის მხრივ ახდენს მიღებული ინფორმაციის გადამოწმებას და ადასტურებს, რომ ვიდეო-სათვალთვალო კამერა გამართულად ფუნქციონირებს/ხურავს ინციდენტს. აღნიშნულის დასადასტურებლად, შესაძლებელია აიტვირთოს საბოლოოდ გასწორებული ვიდეო-სათვალთვალო კამერიდან მიღებული გამოსახულების ე.წ. snapshot.
14. მიმწოდებელი ვალდებულია გამოყოს 24/7 რეჟიმში მომუშავე საკონტაქტო ნომერი „ცხელი ხაზი“ და ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელზეც შემსყიდველის მიერ მოხდება შეტყობინებების გაგზავნა/მიღება.

მუხლი 3. პროგრამული უზრუნველყოფა (ინციდენტების მენეჯმენტი)

1. ვიდეო-სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობის მომსახურების ფარგლებში, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხარვეზებისა და დაზიანებების მართვის (ე.წ. ინციდენტების მენეჯმენტის) პროგრამული უზრუნველყოფა ან პორტალი:
2. პროგრამულ უზრუნველყოფას ან პორტალს უნდა გააჩნდეს მომხმარებელზე ორიენტირებული, გლობალური ქსელიდან (შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მასშტაბით) წვდომადი ვებ-ინტერფეისი შემდეგი მინიმალური ფუნქციონალით:
 - 2.1. მომხმარებლების რეგისტრაცია (უსაფრთხოების შესაბამისი პოლიტიკით) როლებისა და უფლებების მიხედვით;
 - 2.2. ქსელური კამერების რეგისტრაცია;
 - 2.3. ჩართვის წერტილის დასახელება (უნიკალური ნომრების მითითებით);
 - 2.4. ჩართვის წერტილზე დაერთებული ვიდეო-სათვალთვალო კამერების რაოდენობა;
 - 2.5. კამერისა და მისი გარე გამოყენების კორპუსის დამატება (სერიული ნომრებით)
 - 2.6. კამერის უნიკალური დასახელების (“BA200, BA201...”) ველი
 - 2.7. კოორდინატის მითითების საშუალება
 - 2.8. ფოტოსურათების ატვირთვის საშუალება
 - 2.9. ვიდეო ფაილის ატვირთვის საშუალება
 - 2.10. კომენტარის (შენიშვნის) ველი
 - 2.11. სტატუსის ველი
 - 2.12. პრობლემების აღწერის ველი
 - 2.13. ადგილზე გამოძახების გადავადება
3. მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა ან პორტალი განათავსოს შესაბამის ჰოსტინგზე, სადაც უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხოების სტანდარტები კერძოდ:
 - 3.1. SSL სერტიფიკატი
 - 3.2. Login Attempt ლიმიტების დაყენება
4. გათვლილი უნდა იყოს ერთდროულად არანაკლებ 50 მომხმარებელზე

5. რეგისტრირებული ინფორმაციის შენახვა მოხდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადით (არანაკლებ 3 წელი).
6. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენიდან 60 სამუშაო დღის განმავლობაში პრეტენდენტმა უნდა მოახდინოს ყველა კამერის რეგისტრაცია პროგრამულ უზრუნველყოფაში.
7. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის მორიგე ოპერატორმა მარტივი ვებ-ინტერფეისის საშუალებით უნდა შეძლოს პრობლემის დაფიქსირება „ინციდენტების მენეჯმენტის“ სისტემაში, სადაც მიუთითებს კამერის უნიკალურ დასახელებას და პრობლემის აღწერას, მაგალითისთვის: „არ მუშაობს ინფრაწითელი განათება“, „არ მუშაობს კამერა“, „არ მუშაობს საწმენდი მექანიზმი“, „კამერა გასასწორებელია“ და სხვა წინასწარ განსაზღვრულ პრობლემებს, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს ახალი ხარვეზის ტიპის რეგისტრაცია.
8. გახსნილი ინციდენტის პასუხად, მიმწოდებელმა პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამის ველებში უნდა მოახდინოს პრობლემის ამსახველი ფოტოსურათისა და ვიდეო ფაილის ატვირთვა და პრობლემის აღწერა ტექსტურ ფორმატში;
9. მიმწოდებელი ხურავს მიმდინარე დავალებას, რასაც ამოწმებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112;
10. პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს ინფორმაციის მიღება, როდის დარეგისტრირდა ხარვეზი და რა რეაგირება მოხდა.
11. ინციდენტების მენეჯმენტის ანალიტიკური (რეპორტები/ანგარიშები) ფუნქციები:
 - 11.1. ჯამური მიმდინარე დავალებების რაოდენობის გამოტანა;
 - 11.2. დაგვიანებულად შესრულებული დავალებების გამოტანა;
 - 11.3. შესრულებული და მიმდინარე დავალებების სტატისტიკა;
 - 11.4. პრობლემების ცალკეული სტატისტიკა რამდენი რა ტიპის გამოძახება იყო;
 - 11.5. ყველა ზემოაღნიშნული ინციდენტის გათვალისწინებით ანგარიშის გამოტანის საშუალება, ფილტრაციით თითოეული ვიდეო-სათვალთვალო კამერის პრეფიქსის (მაგ. BAxxxx) მიხედვით.